29/08/2024

MES 5 24 0001026366

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:
1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ელენე ცირამუა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
ქეთი მუთიძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ სარუსოს საჯარო სკოლა:
ლალი კოჭლამაზაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ- ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლა:
ნინო მიშველაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - სოსო ღვინიაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო კაჭრეთის საჯარო სკოლა:
მაია ზაკალაშვილი -სკოლის დირექტორი

სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლა:
მალხაზ გელბახიანი -სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N5 საჯარო სკოლა:
კახაბერ ჩიხელიძე -სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ ბორჯომის №4 საჯარო სკოლა:
ნინო გელდიაშვილი -სკოლის დირექტორი

სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკის №1 საჯარო სკოლა:
ხათუნა სვანაძე -სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - სოსო ღვინიაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო კაჭრეთის საჯარო სკოლა:
ა) ლიკა ხვედელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამთა კამკამიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ცირა მსხილაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დ) მიმოზა ღოლიჯაშვილი(საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თეა მამულია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ინგა ხრიკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) სალომე გოგალაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) გურამ ბურდილაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) გიორგი ბერძულიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლა:
ა) ვარდენ ნიქაბაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თალიკო ჯაყელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ინგა ალავერდაშვილი(საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ბექა კვაჭაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარიამ მატიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ ძველაია (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნათია გაგნიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლელა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე(სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ სარუსოს საჯარო სკოლა:
ა) მაია ბუაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ეთერ ბროლაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ფაილოძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თამილა თამაზაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა ჯაფარიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეთერი ივანელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ლია ნადირაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეოდორა ლემონჯავა (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლია სვიმონიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჯოჯიშვილი (ზოგადი გმანათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლა:
ა) ვერა ყურულაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნატო ოგანეზოვი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ხუტილაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ანა ანუშიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიკო მჭედლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ წულუკიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ინგა კაჭარავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თ) მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N5 საჯარო სკოლა:
ა) მანანა ალიბეგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ვერა მღებრიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ბურჯალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მაკა გრძელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარინა თავართქილაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა კუნჭულია (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) სოფიო ჯგერენაია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლელა ფანოზიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ბორჯომის №4 საჯარო სკოლა:
ა) გიორგი ნებიერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ირმა ხმელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) შორენა გაგუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მერი ბეჟუაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ვარდო გოგილავა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლია ციცქიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თინათინ ლაზარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მაკა ინაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკის №1 საჯარო სკოლა:
ა) გიორგი ნებიერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნანა სარალიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) რუსუდანი არზიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) შორენა გაგნიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა გოგალაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეკა ბარნაბიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეონა შერაზადიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინელი ცერცვაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 16 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ სარუსოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ- ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სოსო ღვინიაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო კაჭრეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ქალაქ ბორჯომის №4 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ სარუსოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაია ბუაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ სარუსოს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 17 და 18 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ სარუსოში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 90 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 90 მოსწავლისთვის

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაია ბუაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) კი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტი 3.1 (პერსონალის მართვა) შეფასდა მეტწილი შესაბამისობით. ექსპერტის თქმით, თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ასევე, დასკვნა მოიცავდა ექსპერტთა მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა, მაია ბუაძემ, გააზიარა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება აღჭურვილი იყო ღია სპორტული მოედნით, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკით, რესურს-ოთახით, სააქტო დარბაზით, ადაპტირებული სველი წერტილებითა და ექიმის კაბინეტით. ექსპერტის თქმით, სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა არაფორმალურ განათლებას, ატარებდნენ პრეზენტაციებს, ინტელექტუალურ თამაშებსა და ტრენინგებს. მოსწავლეები ჩართული იყვნენ ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პროექტში, რომლის ფარგლებშიც განახორციელეს სხვადასხვა პროექტი: გარემოს დასუფთავების აქციები, პროექტი წყლის რესურსების გონივრულად გამოყენებისთვის, სკოლის ეზოს გამწვანება, პროექტის ,,კინო სკოლის“ ფარგლებში მოსწავლეებმა მოაწყეს კინოჩვენებები და დისკუსიები. თვითმმართველობის ინიციატივით შექმნილი იყო ლიტერატურული კლუბი, რომლის ფარგლებშიც იმართებოდა სასკოლო სპექტაკლები და ეწყობოდა ლიტერატურული საღამოები. ექსპერტის თქმით, გასულ წლებში სკოლაში ტარდებოდა კარიერული წინსვლისა და

პროფესიული ორიენტაციის გაკვეთილები. მოსწავლეები დადიოდნენ ექსკურსიებზე, პროფ სასწავლებლებში და ადგილზე ეცნობოდნენ პროფესიულ პროგრამებს. ყოველივე ამან მოსწავლეთა დიდი დაინტერესება გამოიწვია.
ექსპერტის თქმით, სკოლაში სწავლობდნენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები და გავრცელებული სტერეოტიპები არ აძლევდათ მოსწავლეებს შესაძლებლობას, სწავლა გაეგრძელებინათ საშუალო საფეხურზე ან პროფესიულ სასწავლებელში. პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, სკოლის დირექტორი და მასწავლებლები აქტიურად ცდილობდნენ მოსწავლეებისა და მშობლების ცნობიერების დონის ამაღლებას. ამ ყოველივეს კი მოჰყვა გარკვეული შედეგი: ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სკოლის კურსდამთავრებულთა 8%-მა მიიღო საშუალო, ხოლო 12 %-მა- პროფესიული განათლება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა რა ვითარება იყო სკოლაში სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ექსპერტმა მაია ბუაძემ აღნიშნა, რომ სკოლაში სახანძრო უსაფრთხოების ნორმები იყო დაცული, სკოლის შენობა აღჭურვილი იყო საევაკუაციო გეგმით, შესაბამისი მინიშნებებითა და ცეცხლმაქრებით, ამასთან, სკოლას შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული ჰქონდა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, მიმართა ექსპერტს, მეტი დეტალი წარმოედგინა სკოლაში ინკლუზიურ გარემოსთან დაკავშირებულ საკითებთან მიმართებით. ექსპერტმა, მაია ბუაძემ, განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი რესურს-ოთახი, ადაპტირებული სველი წერტილები და სკოლის შესასვლელი. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ შენობაში ყველა ოთახს ჰქონდა ის მდებარეობა, რომელიც ხელმისაწვდომი იყო სსსმ მოსწავლეებისათვის.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა რომ სასკოლო სასწავლო გეგმის რიგი პუნქტები ეხებოდა საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას მაშინ, როცა დაწესებულება საგანმანათლებლო პროცესს ახორციელებდა მხოლოდ დაწყებით და საბაზო საფეხურზე. საბჭოს წევრმა დაწესებულებას რჩევის სახით განუცხადა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა მოერგოთ სკოლის საჭიროებებზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ სარუსოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90 -ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:25
დასრულების დრო: 16:30

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1

ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ სარუსოს საჯარო სკოლას (ს/კ: 241572570) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი სარუსო
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი სარუსო

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის აგვისტოში 3.1 კომპონენტებთან მიმართებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმის/ექთნის აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა ცენტრში.

2. სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი

განხორციელდა 2024 წლის 27 და 28 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფელი ღრელში, მე-7 ქუჩა N45-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 60 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 60 მოსწავლისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვერა ყურულაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) კი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ასევე, დასკვნა მოიცავდა ექსპერტთა მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა, გააზიარა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება იყო ახლად რეაბილიტირებული, თუმცა არ ჰქონდა შიდა სპორტული დარბაზი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, მიმართა ექსპერტებსა და სკოლის წარმომადგენლებს მეტი დეტალი წარმოედგინათ სახანძრო უსაფრთხოებისა და შენობის მდგრადობის შესახებ. ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლა ექსპლუატაციაში იყო შესული, თუმცა არ ჰქონდა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნები. სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა მიწერილობა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოებთან და ელოდებოდა რეაგირებას. სკოლის დირექტორმა, ნინო მიშველაძემ, დაადასტურა აღნიშნული და განაცხადა, რომ ზუსტი დრო თუ როდის მიიღებდნენ დასკვნებს, არ იყო ცნობილი, თუმცა დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით აღნიშნული განსაზღვრა 2025 წლის აპრილამდე.

საბჭოს წევრი, ნატო გაბოშვილი, დაინტერესდა ვის მიერ განხორციელდა სკოლის სრული რეაბილიტაცია. სკოლის დირექტორმა, ნინო მიშველაძემ, განაცხადა, რომ სკოლის სრული რეაბილიტაცია განხორციელდა მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა მისია, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას სასკოლო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით უნდა აღეზარდა განათლებული, ლიბერალური, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი, პატრიოტი, კონკურენტუნარიანი, 21-ე საუკუნის მოქალაქე. საბჭოს წევრი დაინტერესდა, როგორ შეაფასეს ექსპერტებმა აღნიშნული მისია, თანხვედრაში იყო თუ არა ეროვნულ სასწავლო მიზნებთან. ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა ახალი დირექტორი, რომელიც აქტიურად მუშაობდა, როგორც მისიის, ასევე ხედვისა და ღირებულებების გადახედვაზე, მის უკეთესად ფორმირებასა და ეროვნული სასწავლო მიზნების განვითრებაზე.

სკოლის დირექტორმა დაადასტურა ზემოაღნიშნული და განაცხადა, რომ სკოლა გეგმავდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის რევიზიას.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა რა აქტივობებს გეგმავდა სკოლა იმისათვის, რომ განეხორციელებინა მისიის ეს კონკრეტული ნაწილი და აღეზარდა ლიბერალური, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი მოქალაქე. ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა, განაცხადა რომ ვინაიდან სოფელი გამოირჩეოდა მრავალფეროვანი ეთნიკური წარმომადგენლებითა და კულტურით, მნიშვნელოვანი იყო სკოლას ეზრუნა ისეთი მოქალაქეების აღზრდაზე, რომლებიც იქნებოდნენ ტოლერანტები და ექნებოდათ მიმღებლობა ნებისმიერი კულტურისა თუ წარმომავლობის ადამიანების მიმართ. ვერა ყურულაშვილმა აღნიშნა, რომ ადგილზე ექსპერტთა ჯგუფმა ნახა სკოლის მიერ ამ თემატიკასთან დაკავშირებით განხორციელებული არა ერთი ღონისძიების დამადასტურებელი მტკიცებულება.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, დაწესებულებას რჩევის სახით განუცხადა, რომ სკოლის მისიის ჩამოყალიბებისას გაეთვალისწინებინათ ეროვნული სასწავლო მიზნების განახლებული ვერსია.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, ყურადღება გაამახვილა რამდენიმე ფაქტორზე და აღნიშნა, რომ სკოლის დოკუმენტაციაში იკვეთებოდა რიგი ტექნიკური ხარვეზები, რაც საჭიროებდა გამოსწორებას, მათ შორის ტექნიკური ხარვეზები შეინიშნებოდა სასკოლო სასწავლო გეგმაში, შრომით ხელშეკრულებებში, მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანებაში და ინვენტარიზაციის დოკუმენტებში. საბჭოს წევრმა სკოლას მიმართა გადაეხედა აღნიშნული დოკუმენტაციისთვის და გაესწორებინა მის მიერ ჩამოთვლილი ხარვეზები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, შეძლებდა თუ არა სკოლა იმ რჩევების გათვალისწინებას, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ იყო გაცემული.
ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა, განმარტა, რომ სკოლა გამოხატავდა მზაობას და იყენებდა ყველა საშუალებას, რომ გაეთვალისწინებინათ, დასკვნის პროექტში დაფიქსირებული რჩევები თუ რეკომენდაციები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:10
დასრულები სდრო: 17:20

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლას (ს/კ: 224081598) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ღრელი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ღრელი.

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის აგვისტოში 3.4 კომპონენტებთან მიმართებით, შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენა ცენტრში.

3. სსიპ - სოსო ღვინიაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო კაჭრეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიკა ხვედელიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - სოსო ღვინიაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო კაჭრეთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 08 და 09 ივლისს. სკოლა მდებარეობდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო კაჭრეთში, სოსო ღვინიაშვილის ქუჩა N59-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების

მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა 120 იყო. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე აღნიშნა, რომ დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობდა სხვადასხვა აქტივობას, მათ შორის, ფუნქციონირებდა ეკო-სკოლა, ქართულის, მათემატიკის დებატკლუბი, ხელოვნების და სპორტის წრეები. სკოლაში ტარდებოდა პროფორიენტაციის გაკვეთილები და აქტიურად თანამშრომლობდა კოლეჯ „აისთან“, ახორციელებდა ისეთ პროექტებს როგორიცაა: “რიცხვები ჩვენს ირგვლივ“, „ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი“, „დაიცავი დედამიწა და სხვა. ჰქონდათ მშობელთა წინადადებების ყუთი და მოსწავლეთა სურვილების დაფა. ლიკა ხვედელიძის თქმით, სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივ თემთან.
ექსპერტმა ასევე გააზიარა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლაში დამონტაჟებული იყო ლიფტი, ორივე სართულზე იყო ფოიე, რომელსაც იყენებდნენ, როგორც საგამოფენო, ასევე დასასვენებელ სივრცედ. სკოლის ეზოში მოწყობილი იყო ამფითეატრი, რომელსაც სკოლა იყენებდა როგორც საგაკვეთილო, ასევე სასკოლო ღონისძიებების ჩასატარებლად თუ მშობლებთან შეხვედრებისთვის. ლიკა ხვედელიძემ ასევე აღნიშნა, რომ სკოლა იყო გარემონტებული და აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით თუმცა არ ჰქონდა შიდა სპორტული მოედანი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლიკა ხვედელიძემ ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 სტანდარტის საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით. ექსპერტის თქმით, თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ასევე, დასკვნა მოიცავდა ექსპერტთა მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, მეტი ყურადღება გაემახვილებინა სამოქალაქო განათლებაში წარმოდგენილ წლის შემაჯამებელ ტესტზე და შეესაბამებინა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგებისათვის ან გამოეყენებინათ წლის შეჯამებისთვის სხვა ალტერნატიული გზები, მაგალითად: მოსწავლეთა პორტფოლიოების დაცვა. ამასთან სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიც საჭიროებდა რევიზიას. საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, ასევე დაინტერესდა, როგორ იყო ასახული სკოლის მიერ განხორციელებულ აქტივობებში სოსო ღვინიაშვილთან დაკავშირებული საკითხები, ვინაიდან დაწესებულება მის სახელს ატარებდა. სკოლის დირექტორმა, მაია ზაკალაშვილმა აღნიშნა, რომ სოსო ღვინიაშვილი იყო ამავე სკოლის მოსწავლე, რომელიც 2008 წლის ომში დაიღუპა. დირექტორის განმარტებით, სკოლაში მოწყობილი იყო სივრცე, სადაც განათავსებული იყო მისი ჯილდოები, სიგელები და სხვა ნივთები. ასევე, დაწესებულება ყოველ წელს აწყობდა სოსო ღვინიაშვილის ხსოვნასთან დაკავშირებულ ღონისძიებას, სადაც იწვევდნენ ოჯახის წევრებსაც.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა რა ეტაპზე იყო სკოლის მიერ შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი. სკოლის დირექტორმა, მაია ზაკალაშვილმა, განმარტა, რომ აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობა დაიწყეს მარტის თვეში, შეიქმნა ჯგუფი, გაიწერა გეგმა, გადაიხედა და დაკორექტირდა მისია, ხედვა, ღირებულებები, გამოიკითხა სასკოლო საზოგადოება და ჩამოყალიბდა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის მონახაზი,

რომელიც ექსპერტებს საავტორიზაციო ვიზიტის დროს წარედგინათ. სკოლამ, ასევე გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები და შეიქმნა სტრატეგიული გეგმის პროექტი, რომელიც წარედგინებოდა სამეურვეო საბჭოს და დამტკიცდებოდა სექტემბერში.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, რომ სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შემუშავებისას გაეთვალისწინებინათ სკოლის საჭიროებები.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, განაცხადა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმები ძირითად შემთხვევაში იყო ცარიელი, მათემატიკის კლუბის სამუშაო გეგმიდან ვერ ირკვეოდა მისი ორგანიზაციული ფორმა, საფეხური, მიზანი და სხვა მსგავსი საკითხი. სკოლას ასევე წარმოდგენილი ჰქონდა პროექტის რეფლექსია, რომელიც არ მოიცავდა მთელ რიგ მნიშვნელოვან კრიტერიუმებს, როგორიც იყო კლასი, მიზანი, საფეხური და სხვა.
საბჭოს წევრი დაინტერესდა, რა იყო აღნიშნული ხარვეზის გამომწვევი მიზეზი. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის, თამთა კამკამაძის განმარტებით, სკოლას დიდი გამოცდილება ჰქონდა პრაქტიკული მუშაობის და აქტიურად ახორციელებდა ყველა საჭირო აქტივობას, თუმცა, მთავარ პრობლემას წარმოადგენდა აღნიშნული საქმიანობის დოკუმენტურად სწორად წარმოდგენა, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაციები. მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, გორგი ბერძულიშვილმა, ასევე განაცხადა, რომ სკოლამ ადგილზე გაცემული რეკომენდაციების შემდეგ გადმოაგზავნა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავდა ზემოხსენებულ ინფორმაციას და შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას ბუფეტი, რაზეც სკოლის დირექტორმა უპასუხა, რომ ამ ეტაპზე სკოლას არ ჰქონდა აღნიშნული, თუმცა ისინი აქტიურად მუშაობდნენ მოცემულ საკითხზე.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას რესურს-ოთახი. ექსპერტმა, ლიკა ხვედელიძემ დაადასტურა, რომ სკოლას ჰქონდა რესურს-ოთახი, რომელიც აღჭურვილი იყო შესაბამისი ინვენტარით.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, ასევე დაინტერესდა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხებით და სკოლის წარმომადგენელს მიმართა მეტი დეტალი წარმოედგინა საბჭოსთვის. სკოლის დირექტორმა, მაია ზაკალაშვილმა, განაცხადა რომ სკოლას ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, თუმცა დასკვნაში გაცემული იყო რიგი რეკომენდაციები, რომელიც ეხებოდა დასტიკერების წესებს, ცეცხლმაქრების დატენვას და სხვა მსგავს დეტალებს, რომელიც სასწავლო წლის დაწყებამდე გამოსწორდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელებს აპირებდნენ თუ არა ბიბლიოთეკის რესურსის გამდიდრებას პროფესიული ლიტერატურით. სკოლის დირექტორმა, მაია ზაკალაშვილმა, დაადასტურა, რომ სკოლას ჰქონდა შესაბამისი ფინანსები, შესაბამისად, აპირებდა გაემდიდრებინა საბიბლიოთეკო რესურსი პროფესიული ლიტერატურით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოსო ღვინიაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო კაჭრეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:40
დასრულების დრო: 17:50

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად სსიპ - სოსო ღვინიაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო კაჭრეთის საჯარო სკოლას (ს/კ: 227752642) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო კაჭრეთი, სოსო ღვინიაშვილის ქუჩა N 59
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო კაჭრეთი, სოსო ღვინიაშვილის ქუჩა N 59
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო კაჭრეთი, სოსო ღვინიაშვილის ქუჩა N 59

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის აგვისტოში 1.2 და 3.4 კომპონენტებთან მიმართებით, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო ასევე, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნის წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის აგვისტოდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები -მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი.

4. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვარდენ ნიქაბაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 27 და 28 ივნისს. სკოლა მდებარეობდა საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფელ სხვიტორში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 250 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 250 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ვარდენ ნიქაბაძემ ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლის გამორჩეული პრაქტიკა იყო სკოლის კოლექტივის აქტიური ჩართულობა არაფორმალური განათლების პროცესებში, პროექტული სწავლების მიმართულებით; სკოლას გაფორმებული ჰქონდა საგანმანათლებლო მიზნების შესაბამისი მემორანდუმები საგანმანთლებლო, საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლაში დასაქმებული თითოეული პირი, რომლებთანაც უშულოდ ვიზიტის პერიოდში შედგა კომუნიკაცია, კარგად იცნობდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკას, სკოლის კულტურას, სასკოლო საზოგადოებასა თუ თემში არსებულ ინტერესებს. დაწესებულებაში არსებული თანამშრომლობითი გარემო განაპირობებდა პედაგოგთა გუნდურ მუშაობასა და ახალგაზრდა კადრების სკოლაში დასაქმებით დაინტერესებას, ექსპერტის თქმით, თვალშისაცემი იყო ფუნქცია-მოვალეობათა ეფექტიანი გადანაწილება, რაც ხელს უწყობდა სასწავლო პროცესის უწყვეტობას. სკოლა მჭიდროდ თანამშრომლობდა სოფელ სხვიტორში არსებულ აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმთან, აწყობდა ერთობლივ შეხვედრებს, საღამოებსა და პროექტებს. სკოლა მუზეუმის ფაქტორს აქტიურად იყენებდა როგორც საგანმანათლებლო რესურსს.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა იყო კეთილმოწყობილი, ჰქონდა სრულად

აღჭურვილი სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სამედიცინო ოთახი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვარდენ ნიქაბაძემ ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) კი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, სკოლას მიეცა რჩევები და რეკომენდაციები, რომელიც დეტალურად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ სკოლას მისცა რჩევა, ინტეგრირებული გაკვეთილების საკითხისთვის მეტი ყურადღება დაეთმოთ, ამასთან, საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, განაცხადა, რომ საგან „ჩვენი საქართველოს“ მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმებს ესაჭიროებოდა რევიზია და დახვეწა. საბჭოს წევრის, პეტრე ბაბილუას, მოსაზრებით, დახვეწა ასევე ესაჭიროებოდა მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმსაც.
სკოლის დირექტორმა, მალხაზ გელბახიანმა, აღნიშნა, რომ სკოლას დაწყებული ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებზე მუშაობა და უახლოეს მომავალში აღმოიფხვრებოდა ყველა ხარვეზი.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, რა ვითარება იყო 3.4 კომპონენტში გამოვლენილ ხარვეზებთან მიმართებით, კერძოდ, მოიპოვა თუ არა დაწესებულებამ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სახანძრო უსაფრთხოებისა და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნები. სკოლის დირექტორის, მალხაზ გელბახიანის განმარტებით, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული იყო შესაბამის უწყებასთან, ასევე, ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსგან სკოლას მოპოვებული ჰქონდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, ხოლო სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით დაწესებულებას ჰქონდა მიწერილობა და ელოდებოდა შესაბამის სამსახურს, რათა შეედგინათ ხარჯთაღრიცხვა და შემდგომ აღნიშნული მტკიცებულებებით მიმართავდა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს.
საბჭოს თავმჯდომარის, დავით მალაზონიას, მოსაზრებით, საზოგადოებრივი მეცნიერების მიმართულებით კურიკულუმები საჭიროებდა დახვეწას. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის, თალიკო ჯაყელის განმარტებით, დაგეგმილი სასწავლო პროცესები სკოლაში საკმაოდ მაღალ დონეზე ხორციელდებოდა, თუმცა, აღნიშნული არ იყო დოკუმენტურად ასახული და სკოლის წარმომადგენელს ჰქონდა მზაობა გაეუმჯობესებინა სასკოლო კურიკულუმები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 18:25
დასრულების დრო: 18:33

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად, სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლას (ს/კ: 239402589) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი სხვიტორი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი სხვიტორი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი სხვიტორი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის აგვისტოდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი.

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის აგვისტოში 1.2 და 3.4 კომპონენტებთან მიმართებით, სამოქმედო გეგმის განხორციელების ფინანსური ან/და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N5 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 04 და 05 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ზესტაფონში, წერეთლის ქუჩა N3-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 800 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 800 მოსწავლისთვის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მანანა ალიბეგაშვილმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) კი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, სკოლას მიეცა რჩევები და რეკომენდაციები, რომელიც დეტალურად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა არ იყო ადაპტირებული, ხოლო სხვა მიმართულებით სკოლას ჰქონდა ყველა საჭირო რესურსი და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების საკითხი. ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა მიწერილობა შესაბამის სამსახურთან. სკოლის დირექტორის, კახაბერ ჩიხელიძის, განმარტებით, უახლოეს პერიოდში იგეგმებოდა სკოლის რეაბლიტაცია და შემდგომ უზრუნველყოფდა ყველა საჭირო დოკუმენტაციის მოპოვებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 19:50
დასრულების დრო: 20:00

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N5 საჯარო სკოლას (ს/კ: 230053517) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N3
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N3
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N3

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის აგვისტოდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები -მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი.

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის აგვისტოში 1.2 კომპონენტთან მიმართებით, შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის წარმოდგენა ცენტრში, ასევე და 2026 წლის აგვისტოში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით ა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნისა და ინკლუზიური გარემოს შექმნის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6. სსიპ - ქალაქ ბორჯომის №4 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბორჯომის №4საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 08 და 09 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ბორჯომში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩა N35- ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 220. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 220 მოსწავლისთვის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი ნებიერიძემ ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; მე-3 სტანდარტი (სასწავლო

პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) კი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ ექსპერტის თქმით, სკოლას მიეცა რჩევები და რეკომენდაციები, რომელიც დეტალურად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება იყო ახლად რეაბილიტირებული, შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო და აღჭურვილი იყო ყველა საჭირო რესურსითა და ინფრასტრუქტურით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა მოსწავლეთა მხარდაჭერა და ამ მიმართულებით შექმნილი იყო შემდეგი კლუბები: „წიგნის მოყვარულთა კლუბი“, „პატარა მეზღაპრეები“, „სპორტის კლუბი“, „ფოტოგრაფია“, „კინომოყვარულთა კლუბი“ და ა.შ. ასევე, სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებდა USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა, თანამშრომლობდა არაფორმალური განათლების ცენტრებთან და ორგანიზებას უწევდა უნივერსიტეტების წარმომადგენლებსა და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტს, პროფორიენტაციის მიმართულებით, სპეციალური თანამშრომელი ჰყავდა აყვანილი სკოლას თუ აღნიშნული მიმართულება დელეგირებული იყო რომელიმე თანამშრომელზე. ექსპერტის, გიორგი ნებიერიძის, განმარტებით, სკოლას ჰყავდა სპეციალური თანამშრომელი, რომელიც ახორციელებდა სხვადასხვა პროექტს პროფორიენტაციის მიმართულებით.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, მიმართა ექსპერტს, ციფრული ტრანსფორმაციის გეგმასთან დაკავშირებით მეტი დეტალი გაეცნო საბჭოს წევრებისთვის. ექსპერტ გიორგი ნებიერიძის განმარტებით, ციფრული ტრანსფორმაციის გეგმაში გაწერილი იყო სკოლის მატერიალური რესურსით აღჭურვა და მეტი ღონისძიების განხორციელება კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით. სკოლის დირექტორის, ნინო გელდიაშვილის, განმარტებით, ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით დაწესებულება ახორციელებდა სხვადასხვა პროექტს, გარდა ამისა, ტექნოლოგიებს აქტიურად იყენებდნენ სასწავლო პროცესში.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რამდენად რეალურად მიაჩნდა, რომ უახლოეს მომავალში მოსწავლეები გამოიყენებდნენ ხელოვნურ ინტელექტს გარკვეული დავალებებისა და პროექტების შესრულებისთვის. სკოლის დირექტორის განმარტებით, ინფორმაციული ტექნოლოგიების მასწავლებლები აქტიურად მუშაობდნენ და იგეგმებოდა პროექტები აღნიშნული მიზნის მისაღწევად.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, ვებ-გვერდზე აესახა ინფორმაცია სკოლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რა ღონისძიებები იმართებოდა USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში. სკოლის დირექტორის განმარტებით, მოსწავლეთა თვითმმართველობა ახორციელებდა სხვადასხვა პროექტს, მათ შორის „შეიყვარე წიგნები გულით“, რომლის ფარგლებშიც სკოლის ბიბლიოთეკა გაამდიდრეს 1500 ლარის ოდენობის მხატვრული ლიტერატურით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბორჯომის №4საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 220-ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 20:20

დასრულების დრო: 20:25

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბორჯომის №4 საჯარო სკოლას (ს/კ: 226157388) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 220 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ბორჯომი, გრიგოლ ხანძთელის ქ. N35
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ბორჯომი, გრიგოლ ხანძთელის ქ. N35
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ბორჯომი, გრიგოლ ხანძთელის ქ. N35

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:
საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის აგვისტოში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

7. სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკის №1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 26 და 27 ივნისს. სკოლა მდებარეობდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 400 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა იმ შემთხვევაში, თუ კი დაწესებულება სასწავლო პროცესს განახორციელებდა ორ ცვლაში, ხოლო ერთცვლიანი განრიგის შემთხვევაში, სკოლა შეძლებდა 300 მოსწავლისთვის განეხორციელებინა სასწავლო პროცესი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი ნებიერიძემ ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ხოლო, მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) კი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ ექსპერტის თქმით, სკოლას მიეცა რჩევები და რეკომენდაციები, რომელიც დეტალურად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა ფუნქციონირებდა ორსართულიან შენობაში, ჰქონდა ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებული ყველა ლიტერატურა დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, სკოლაში იყო რესურს-ოთახი, აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით. ასევე, ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა სპორტული დარბაზი. ექსპერტის თქმით, სკოლის ფრენბურთის გუნდმა მოიპოვა სასკოლო მსოფლიო ჩემპიონატის საგზური.

ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ, აღნიშნა, რომ სკოლაში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებისთვის შექმნილი იყო სხვადასხვა თემატური კლუბი, ორგანიზებას უწევდა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრას საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის, ასევე, აქტიურად თანამშრომლობდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტთან და არაფორმალური განათლების ცენტრებთან, ფუნქციონირებდა USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ახორციელებდა სხვადასხვა პროექტს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რამ განაპირობა, რომ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული და სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული მისიები და ღირებულებები განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. სკოლის დირექტორის, ხათუნა სვანაძის, განმარტებით, ვებ-გვერდზე განთავსებული იყო განახლებული დოკუმენტაცია, ხოლო წარმოდგენილი დოკუმენტაცია იყო პირველადი ვერსია.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა უცხოური ენების ექსპერტს, გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით მეტი დეტალი ეცნობებინა საბჭოს წევრებისთვის. უცხოური ენების ექსპერტის, ინგა გოგალაძის განმარტებით, დარღვეული იყო ეროვნული სასწავლო გეგმასთან შესაბამისობა მეორე უცხოური ენის ნაწილში. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) ვერ უზრუნველყოფდა მეორე უცხოური ენის - ფრანგული ენის სწავლის შედეგების მიღწევას, რადგან გამოტოვებული იყო ანბანის სწავლების ნაწილი. სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის მეორე უცხოური ენის კურიკულუმის ჩარჩო არ ემთხვეოდა მეორე უცხოური ენის სტანდარტის მოთხოვნებს. მე-10 კლასის ფრანგული ენის კურიკულუმის ჩარჩოში არ იყო გათვალისწინებული ანბანის სწავლება, რის გამოც მოსწავლე ვერ შეძლებდა ფრანგულ ენაზე წერა-კითხვის შესწავლას და ვერ დააკმაყოფილებდა მეორე უცხოური ენის საშუალო საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, სკოლას მისცა რჩევა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პოზიცია მოეყვანათ კანონმდებლობასთან თანხვედრაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკის №1საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 20:50
დასრულების დრო: 21:00

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკის №1 საჯარო სკოლას (ს/კ: 221299850) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი მაღლაკი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი მაღლაკი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი მაღლაკი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის აგვისტოდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი.

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის აგვისტოში 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტთან მიმართებით, ექიმის პოზიციაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული კვალიფიკაციური კადრის აყვანის, შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის, ვიდეო-სათვალთვალო კამერების განთავსებისა და გარე და შიდა პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 21:10 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა